სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

77051535349624

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240482486

რეგისტრაციის თარიღი

22.04.2024 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაორ აპრილს, მე ნოტარიუსს ირმა გოგიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა 14 მომმართა მოქალაქე - ზაზა ტურაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ, არის შპს „ზე კუბი დეველოპმენტ"- ის (ს/კ №405546084) დირექტორი. მან თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22125346, მომზადების თარიღი: 05/10/2022.

მან გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე ზაზა ტურაშვილის (დაბ: 20.11.1971 წელს პ/ნ # 01001011125, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი პაბლო პიკასოს ქ. N 7 ბ. 15) პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაორ აპრილს, მე, ზაზა ტურაშვილმა (დაბ: 20.11.1971 წელს პ/ნ # 01001011125, მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი პაბლო პიკასოს ქ. N 7 ბ. 15), როგორც შპს „ზე კუბი დეველოპმენტ"- ის (ს/კ №405546084) დირექტორმა, დავით ლოსაბერიძეს (დაბ: 14.03.1967 წელს, პ/ნ # 01005006844, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქუჩა, N 20/3, ბინა 36) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. დავით ლოსაბერიძე უფლებამოსილია იყოს ჩემი, როგორც შპს „ზე კუბი დეველოპმენტ"- ის (ს/კ №405546084) დირექტორის წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთობაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ სამინისტროში, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქ თბილისის საკრებულოში, მერიაში, მუნიციპალიტეტში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, მერიის სსიპ-ებთან ურთიერთობაში, მათ შორის: სსიპ არქიტექტურის სამსახურთან, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურთან ურთიერთობაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში და ყველა სხვა კომპეტენტურ ორგანოში, რათა განახორციელოს საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (სადაც არ უნდა მდებარეობდეს) პროექტის შეთანხმების, პროექტის ცვლილების, პროექტის კორექტირების, ვადის გაგრძელების, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან, ექსპლუატაციაში მიღებასთან, ფოტომონტაჟური პროექტის მიღებასთან, წითელი ხაზების კორექტირებასთან, სამშენებლოდ გამოყენებასთან, პირობების დადგენასთან, განაშენიანებასთან, რეგულირებასთან, გეგმის შეთანხმებასთან, ზონის ცვლილებასთან, მიწის ნაკვეთის პარამეტრების ცვლილებასთან, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან, შეთანხმებული პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით ნებისმიერი საჭირო მოქმედება. მოახდინოს უძრავ ქონებაზე, დაშენება/აშენება/დემონტაჟი, ასევე შეთანხმებული პროექტის კორექტირება, განაშენიანების რეგულირების გეგმის აღება, ვადის გაგრძელება, უძრავი ქონების აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად. მოახდინოს დაკანონების, ლეგალიზაციის, პრივატიზაციის, დასრულების საკითხები. შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, შეუცვალოს სტატუსი, მიანიჭოს ნომერი, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი, დარეგისტრირდეს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ პორტალზე, მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებებში მშენებლობის ნებართვის მისაღებად, მოამზადოს ან/და შეუკვეთოს გრგ. ჩემი სახელით შესაბამის ორგანოებში წარადგინოს განცხადებები, გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მიიღოს/ჩააბაროს დოკუმენტაცია, მათ შორის: ცნობა, მოწმობა, ნახაზი, გეგმა, პროექტი, ნებართვა და ა.შ. ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას, მათ შორის: განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება ზ/აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. მინდობილობა ძალაშია ორიათასოცდაოთხი წლის ოცდაორი აპრილიდან ორიათასოცდახუთი წლის ოცდაორი აპრილის ჩათვლით, მესამე პირებზე გადანდობის უფლების გარეშე.

3. მინდობილობა გაცემულია ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

4. მინდობილობა გაცემული 3 (სამი) ეგზემპლარად. რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 2 (ორი) გადაეცა მინდობილობის გამცემს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ. გვერდიდან).

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 30.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასარგებლოდ დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 5[illegible] მუხლისა, აგრეთვე 5 ლარი თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლისა დღგ 5 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, სულ გადახდილია 40.40 ლარი.

მოქმედი ნოტარიუსი ირმა გოგია

საქართველო GEORGIA NOTARY IRMA GOGIA 01027003167